ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2020 №48 (8312) ფასი: 60 თეთრი

„საკაშვილს ორი გვამი დღესაც სჭირდება“

გვ.3

„ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ არჩევნებზე უარით კარი გაუღო ნაცმოძრაობის დაბრუნებას“

25 თებერვლიდან

მამა გაბრიელი – 90

პირველთა შორის უკანასკნელი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„სალომე ზურაბიშვილი გიგი უგულავას შეიწყალებს?!“

გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია თბილისში მაჟორიტარებად ლიდერებს დააყენებს“

სერგი კაპანაძე: „თუ პოლიტპატიმრებს გაათავისუფლებენ, ჩვენც დავუბრუნდებით დიალოგს“

ივანიშვილი რომ პარტიების მოსყიდვას დაიწყებს, ეს გასაგებია, მაგრამ მე არ მგონია, რომ ვინმე გაიყიდოს ივანიშვილის ფულზე

გვ.2



გიორგი ვაშაძე: „დასახელებული მაჟორიტარობის კანდიდატების სია ზუსტი არ არის“

გვ.3

გვ.2

დრო იწურება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ივანიშვილი?!

თინა ბოკუჩავა: „ივანიშვილმა უბრალოდ უნდა გაითავისოს, რომ ძალიან მაღალი ფასის გადახდა მოუწევს, თუ გადაწყვიტა, რომ არ შედგეს კონსენსუსი და არ გამოვიდეს ქვეყანა ამ კრიზისიდან, რომელიც პირადად მან შექმნა“

„რუსეთი ბჟანიას გასაკონტროლებლად ინალ არძინბას გაგზავნის“

გვ.4

მამუკა გვაძაბია: „ინალ არძინბა 29 წლისაა და მეტსახელად დობერმანს ეძახიან“

როგორ იმოქმედებს კორონავირუსი ლარზე

გვ.2

ISSN 1987-9385

5 დედისა და ბებიის მკვლელობაში ბრალდებულ 19 წლის ბიჭს ბრალი წარედგინა

5 თენგიზ და ლუკა კალანდიების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდება

6 როუჰანი: „კორონავირუსი არ უნდა გახდეს იარაღი ჩვენი მტრის ხელში“

5 გურჯაანის კლინიკაში პაციენტის პალატას ესროლეს

სერგი კაპანაძე: „თუ პოლიტპატიმრებს გაათავისუფლებენ, ჩვენც დავუბრუნდებით დიალოგს“

ივანიშვილი რომ პარტიების მოსყიდვას დაიწყებს, ეს გასაგებია, მაგრამ მე არ მგონია, რომ ვინმე გაიყიდოს ივანიშვილის ფულზე

„ახალი თაობის“ კითხვებს ევროპული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე პასუხობს

ნონა ცაბაძე

– პატონო სერგი, საზოგადოების ერთი ნაწილის მხრიდან ისმის გულისწყრომა, რომ ოპოზიციამ უკვე დაიწყო მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევა, მაშინ როდესაც, ხალხი აქციებზე იდგა, სისხლი დაღვარა, პროპორციულს ითხოვდა, პოლიტპატიმრები გვყავს ციხეშიო. რით უპასუხებთ მოსახლეობის ამ ნაწილს, დაყევით ხელისუფლების ნებას და თანხმდებით, რომ იყოს ძველი სისტემა?

– არა, რა თქმა უნდა! ჩვენ როდესაც ვლაპარაკობთ მაჟორიტარი კანდიდატების შეთანხმებაზე, ვლაპარაკობთ გეგმა ბე-ზე. სამწუხაროდ, ისეთი რეალობა გვაქვს, რომ ერთი შეშინებული ოლიგარქის გადაწყვეტილებას ველოდებით. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ეს ადამიანი, არავინ არ იცის. მიუხედავად საერთაშორისო ზეწოლისა, მან შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება და დატოვოს დღევანდელი სისტემა. რადგან ასეა, ჩვენი ამოცანაა, რომ დღევანდელი სისტემის დარჩენის შემთხვევაში, გვქონდეს გეგმა ბე, რომლითაც ასევე დამარცხდება ხელისუფლება. ჩვენ როდესაც ვამბობთ, რომ ხელისუფლება ნებისმიერი საარჩევნო სისტემის პირობებში დამარცხდებაო, ამაში ვგულისხმობთ იმას, რომ ის ავტომატურად არ დამარცხდება.

– რა შემთხვევაში მარცხდება?

– დამარცხდება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კოორდინირება მაჟორიტარულ ოლქებში. მარტო ამ შემთხვევაში დამარცხდება დღევანდელი სისტემით. ამიტომ, რადგანაც დრო ცოტაა და ერთი გადარეული ადამიანის იმედზე ვერ ვიქნებით, ჩვენ დავიწყეთ კოორდინირების პროცესი მაჟორიტარულ ოლქებში. ეს არ არის არც ჩვენი აქამდე არსებული პოზიციების შეცვლა, პირიქით, ჩვენ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომ პროპორციულზე გადავიდეს და პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლოს. ეს არის ჩვენი ამოცანა და მათ ჩაშალეს მოლაპარაკებები მაშინ, როდესაც დააკავეს გიგი უგულავა, როდესაც დაიწყეს დევნა დარჩენილ პოლიტიკურ ოპონენტებზე და როდესაც უარი თქვეს პროპორციულ სისტემაზე გადასვლაზე.

– გიგი უგულავა ახსენეთ და სასჯელმოხდილი პირების თავიდან დაკავება რას უნდა მივაწეროთ, ეს არის პირადი შურისძიება, რომ ისინი არ გაჩუმდნენ და არ შეუშინდნენ ივანიშვილს?

– ეს არის პირადად ოლიგარქის გადაწყვეტილება, რომ ზიანი მიაყენოს ოპოზიციას. ასე ჰგონია მას, რომ ძალას თუ აჩვენებს, თუ დაიჭერს ხალხს, მაშინ დააზიანებს ოპოზიციას. ეს რამე ახალი კი არაა, ასე ფიქრობს დიდი ხანია. ახლა, უბრალოდ, მორიგი ნაბიჯი გადადგა. ჩვენ არ ვაპირებთ, რომ ამ თამაშს გავყვეთ. მათ ააყირავეს მოლაპარაკების მაგიდა, ამიტომ აზრი აღარ აქვს, რომ ამ მაგიდას დავუბრუნდეთ. ახლა მან გადაწყვიტა, რომ პოლიტიკური დევნა გამოიყენოს მოლაპარაკების პარალელურად, ეს არ გამოვა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დრო იწურება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ივანიშვილი?!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ბოკუჩავა პასუხობს.

თინა ბოკუჩავა: „ივანიშვილმა უბრალოდ უნდა გაითავისოს, რომ ძალიან მაღალი ფასის გადახდა მოუწევს, თუ გადაწყვიტა, რომ არ შედგეს კონსენსუსი და არ გამოვიდეს ქვეყანა ამ კრიზისიდან, რომელიც პირადად მან შექმნა“

– თინა, მედიისთვის დახურული შეხვედრა გაიმართა ამერიკის საელჩოს ინიციატივით. გამოვიდა ინფორმაციები, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გარკვეული მოლაპარაკება და შეთანხმება შედგა. რას იტყვით თქვენ?

– ეს შეხვედრა შედგა ამერიკის ელჩის მოადგილესთან. მე არ ვიცი, ვინ გაავრცელა ეს ინფორმაცია შეთანხმების თაობაზე, რომელიც რეალობას არ შეესაბამება.

– თავად თუ ესწრებოდით ამ შეხვედრას?

– დიახ, ვესწრებოდი.

– ძირითადად რა საკითხები განიხილეთ?

– ეს იყო ქალბატონი ელიზაბეტ რუდის, რომელიც არის ამერიკის დესპანი, ელჩის მოადგილე, სადილი, რომელსაც ის რეგულარულად მართავს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან. მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ.

– შეთანხმება, მოლაპარაკება, მსგავს თემებზე არ გისაუბრიათ?

– რაც გითხარით, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

– ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გაგრძელების შანსი რამდენად არის?

– რაც შეეხება მოლაპარაკებებს, მოგახსენებთ ამასთან დაკავშირებით. იცით, რომ მაგიდა ააყირავა ივანიშვილმა, მაშინ, როდესაც დაიჭირა ერთ-ერთი მომლაპარაკებელი და გამოაცხადა, რომ სხვებიც რიგში არიან. ისინი ერთი ხელით ადამიანებს ეპატიჟებიან მოლაპარაკების მაგიდასთან, ხოლო მეორე ხელით თადუმაძეების და მსგავსი მონა მოსამართლეების გამოყენებით საპყრობილეში ამწყვდევენ. მან ჩაშალა მოლაპარაკების მაგიდა, რაც ბუნებრივია, დიდი იმედგაცრუება იყო, მათ შორის ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვის.

– როგორია თქვენი პირობა?

– ჩვენ მზად ვართ, რომ ნებისმიერ კონსენსუალურ წინადადებას, რომელიც საქართველოს მოქალაქის ინტერესიდან ამოდის, ჩატარდეს ქვეყანაში ნორმალური, სამართლიანი არჩევნები და მათ შეეძლოთ თავიანთი გადაწყვეტილების შესაბამისად მთავრობის დაკომპლექტება. ანუ ისეთი პარლამენტის მიღება, რომელიც რეალურად წარმოადგენს ხალხის ნებას, ამას ნებისმიერ მოცემულობაში დავუჭერთ მხარს, თუ იქნება იმის გარანტიები, რომ შეწყდება პოლიტიკური დევნა და ის პოლიტპატიმრები, რომლებიც ახლა იმყოფებიან ქვეყნის სხვადასხვა ციხეებში, დატოვებენ საპყრობილეებს. ეს არის ჩვენი ძალიან პრინციპული პოზიცია, რომელსაც იზიარებს მთავარი ოპოზიციური ბირთვი.

– ხელისუფლების მხრიდან ამის მზაობას რამდენად ხედავთ?

– ხელისუფლებაზე საუბარი ამ შემთხვევაში ძალიან აბსტრაქტულია, იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ყველაფერს აკონტროლებს ერთი ადამიანი, რომელიც ყველა გადაწყვეტილებას იღებს და შემდგომ ავალებს დანარჩენებს მათ შესრულებას. ასეა ამ შემთხვევაშიც.

ივანიშვილმა უნდა გაიაზროს, რომ ეს კრიზისი მის წინააღმდეგ მოქმედებს, რომ თუ ამ კრიზისიდან გამოსვლას არ მოისურვებს თავად, მაშინ, კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება ის პირადად. ბუნებრივია, ყველამ კარგად ვიცით, რომ ქვეყანასა და ქვეყნის ინტერესებზე, ის არასოდეს ფიქრობდა.

– კახი კალაძე აცხადებს, რომ ის მართავს ინდივიდუალურ შეხვედრებს ოპოზიციის ლიდერებთან, რომ უკვე შეხვდა რამდენიმე პარტიას.

– არ ვიცი, კალაძე ვის შეხვდა. ჩვენს ოპოზიციურ ფორმატში, სადაც პრაქტიკულად ყველა ოპოზიციური პარტიაა წარმოდგენილი, ვისაც კი პულსი ესინჯება, ყველა ეს პარტია თვლის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია პრინციპული პოზიციების შენარჩუნება. ჩვენი ინფორმაციით დამალული, საიდუმლო პაემნები, კალაძესთან ან სხვა „ქართუ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

როგორ იმოქმედებს კორონავირუსი ლარზე

იაგო ნაცვლიშვილი

მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშეა და სამყარო კორონავირუსს ებრძვის, რომელიც უკვე დიდი ხანია გასცდა ჩინეთის საზღვრებს. ვირუსის შემთხვევები დაფიქსირდა ჩვენს რეგიონშიც, კონკრეტულად კი ირანში. ევროპის ქვეყნებიდან კი განსაკუთრებით მძიმე ვითარება იტალიაშია. ჩინეთთან და ირანთან ავიამიმოსვლა უკვე შეაჩერა საქართველომ. მართალია სამყარო იმაზე მუშაობს, რომ ვირუსმა ეპიდემიის სახე არ მიიღოს, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაც.

რა ელის საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისით და ლარის კურსის მხრივ და რით აიხსნება ის, რომ ბოლო პერიოდში ლარის კურსის გამყარების ტენდენციაა? – ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძე საუბრობს:

– ბოლო პერიოდია ლარი მყარდება. თქვენ რა ახსნა გაქვთ? რამ გამოიწვია ლარის გამყარება, მაშინ, როცა ბოლო წლებში პირიქით, ეროვნული ვალუტის გაუფასურებას შევეჩვიეთ? ამჯერად რამ გამოიწვია დადებითი ეფექტი?

– სხვადასხვა მოსაზრება მოვისმინე ამ თემაზე. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხი. პირველი, ეს გამოიხატა ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით, ეს უკავშირდება რეფინანსირების განაკვეთის გაზრდას. მოგეხსენებათ, სექტემბრიდან მოყოლებული 2%-ით გაიზარდა საბოლოო ჯამში რეფინანსირების განაკვეთი, რამაც გარკვეული პერიოდის შემდეგ მოახდინა ეფექტი.

ასევე აღსანიშნავია ის, რომ სარეზერვო მოთხოვნა დოლარში მოზიდულ სახსრებზე შეამცირა ეროვნულმა ბანკმა, რამაც ბანკებს მისცა საშუალება, რომ დაკრედიტება გაეზარდათ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური პარამეტრები, იანვრის მონაცემების მიხედვით, ყველაფერი ნორმაში იყო. შემცირებული იყო იმპორტი და გაზრდილი იყო ექსპორტი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ ინფლაციის და ფასების ზრდის გამო მოთხოვნა შემცირებულია და მომხმარებელს აღარ აქვთ საშუალება, რომ შეიძინონ იმპორტირებული პროდუქცია და კორონავირუსის გამო ჩინეთიდანაც შემცირებულია იმპორტი, ეს არის ჩემი ვარაუდი. ჩემი ინფორმაციით, ტექნიკის მაღაზიებსა და სათამაშოების მაღაზიებს, იმპორტიორებს ამ ეტაპისთვის შეწყვეტილი აქვთ ჩინეთიდან იმპორტი, ყოველ შემთხვევაში, მათ დიდ ნაწილს. ამან კი თავისთავად დოლარზე მოთხოვნა და ლარზე ზეწოლა შეამცირა.

– ეს ჩამოთვლილი ფაქტორები მთლიანობაში ახდენს დადებით ზეგავლენას ეროვნულ ვალუტაზე?

– დიახ. ის მონაცემები, რაც ამ ეტაპზე გვაქვს, ამ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს. კონკრეტული ინფორმაცია, როგორი იყო იმპორტი თებერვალში და ზოგადად კონკრეტული თარიღების შესახებ ინფორმაცია, ალბათ მოგვიანებით გახდება ცნობილი ჩვენთვის, თუმცა ამ ეტაპზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ძირითადი მიზეზებია ლარის გამყარების თვალსაზრისით.

ასევე აღსანიშნავია მოლოდინი. ყველა ელოდება ხოლმე, რომ ჩაივლის ახალი წელი და დოლარი გაიქცევა და ლარი მას ვეღარ დაეწევა და ა. შ. ამ მოლოდინმა გადაიარა, მიხვდა ყველა, რომ ეს მოლოდინი არასწორი იყო, რასაც თავისთავად უკურეაქცია მოჰყვა. ამას გარდა, სეზონური ფაქტორიც არსებობს, გაზაფხული ახლოვდება, შესაბამისად, ტურიზმიდან შემოსულობების ზრდას ველოდებით სხვა თანაბარ პირობებში, თუ, ვთქვათ, სხვა ფაქტორებმა არ შეგვიშალა ხელი.

– პროგნოზირების დროს ახსენეთ ფრაზა, თუ რამემ ხელი არ შეგვიშალაო. კორონავირუსის სახით მსოფლიოს წინაშე დიდი გამოწვევაა. ეკონომიკის მინისტრმა გვითხრა, რომ მარტო ერთ თვეში ირანიდან და ჩინეთიდან ფრენების შეჩერების გამო 30 მილიონიან ზარალს ველოდებითო. რას გამოიწვევს ეს პროცესები ქართული ეკონომიკისთვის?

– საუბარია 30 მილიონ ლარზე, რაც დაახლოებით 10 მილიონი დოლარია. პირად ჩვენ ორგანიზაციას ჯერ არ დაუთვლია და ძალიან ძნელია საუბარი იმაზე, რა შეიძლება იყოს ზარალი. ირანიდან ტურიზმი, მით უმეტეს საჰაერო ნაკადები, ისედაც შემცირებული იყო, ძირითადად სახმელეთო გზით შემოდიოდნენ ირანიდან ტურისტები. რაც შეეხება ჩინეთს, ეს მიმართულება საკმაოდ მზარდი იყო, თუმცა, სამწუხაროდ, კორონავირუსის გამო მსოფლიოში პრობლემაა. ავიაკომპანიებს შეექმნათ პრობლემა, ასევე ტურისტულ კომპანიებს საკრუიზო ლაინერებს და ა. შ. ჩვენ გლობალური ეკონომიკის ძალიან მცირე ნაწილი ვართ, შესაბამისად, ეს პრობლემები ჩვენზე პირდაპირ არ აისახება.

თუმცა, ცხადია, გვაქვს ურთიერთობა ირანთან და ჩინეთთან, როგორც სავაჭრო, ასევე ტურისტული თვალსაზრისით. ეს დანაკლისი არ არის ძალიან დიდი, შესაბამისად, სწორი ეკონომიკური ხედვების შემთხვევაში, ამის დაბალანსება შესაძლებელია. ამიტომ, რაღაც სერიოზულ პრობლემებს ამის გამო მე არ ველოდები.

ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ ავყვეთ პანიკას როგორც ჯანმრთელობის კუთხით, ისე ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში პანიკა ნამდვილად არ გვარგებს და მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა იმ მხრივ, რომ საზღვრებზე შემოწმდეს ყველა მგზავრი თუ ტურისტი.

თუმცა, აგერ უკვე იტალიაში დაფიქსირდა ინფიცირების შემთხვევები. ფაქტობრივად, ჩვენი მეზობელია ირანი და ეს, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს. ჩემი ინფორმაციით, ირანიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანაც შეზღუდეს თვითონ იმპორტიორებმა. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ აჟიოტაჟი გადაივლის და ეკონომიკური საფრთხე ნაკლები იქნება.

სავალუტო ფონდი და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები საუბრობენ, რომ ეს შეიძლება იყოს მსოფლიო ეკონომიკის შენელების ერთ-ერთი ფაქტორი. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენზე შედარებით დრამატულად იმოქმედებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიგა ბუკია: „სააკაშვილს ორი გვამი დღესაც სჭირდება“

„ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ არჩევნებზე უარით კარი გაუღო ნაცმოძრაობის დაბრუნებას“

მარიამ მჭედლიშვილი

რატომ არ არის საფუძველი ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრების იმპიჩმენტისთვის? რატომ არ არის დანაშაული პარლამენტის ქუთაისის შენობის გაყიდვა? რა დატვირთვა ეძლევა ყბადაღებულ „ორ გვამს“ რეალობაში? შეიძლება იყოს თუ არა უთანხმოება სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობიდან გამოსულ კონსერვატორ დეპუტატ გიგა ბუკიას.

– პარლამენტში გროვდება ხელმოწერები ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრების იმპიჩმენტის მოსამზადებლად. ისინი არ მივიდნენ პარლამენტში დაბარების შემდეგ. თქვენ რას იტყვით?

– პარლამენტს ევალება აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი. პარლამენტი ამ ფუნქციას უნდა ასრულებდეს. კანონისა და რეგლამენტის შესრულებაც სავალდებულოა, თუმცა, ამ შემთხვევაში შეიქმნა რაღაც საგანგებო სიტუაცია და მე მინისტრებს ვერ დავადანაშაულებ. მათი იმპიჩმენტის მიზეზს ვერ ვხედავ.

ჩვენ პარლამენტის ახალი რეგლამენტით ვმუშაობთ. თავიდანვე ვამბობდი, რომ გარკვეული პროცედურები ამ რეგლამენტში დასახვეწია. ეს ახლა ნათლად გამოჩნდა. მინისტრები, რომლებიც კომიტეტისა თუ ფრაქციის სხდომებზე არ მოვიდნენ, მანამდე ორი თუ სამი დღით ადრე იმყოფებოდნენ საკანონმდებლო ორგანოში და დიდი ხნის განმავლობაში პასუხობდნენ დასმულ კითხვებს. რისთვისაც კიდევ დაიბარეს, იმაზე მათ ნალაპარაკევი ჰქონდათ.

– რეგლამენტთან დაკავშირებული კოლიზია წარმოიშვა?

– რეგლამენტში ბევრი რამ ჩავწერეთ, თუმცა, როგორც ჩანს, უფრო მეტი დაზუსტებაა საჭირო, ყველა ნიუანსია გასათვალისწინებელი. ეს საიმპიჩმენტო საკითხი არ არის. ამ მინისტრებს რომ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაედინათ, სხვა საქმე იქნებოდა. როცა საქმე ეხება ინსტიტუციებს და არა – ხელისუფლება-ოპოზიციის კამათს, ჩვენ უნდა დავსხდეთ და დავხვეწოთ რეგლამენტი.

– როცა პარლამენტის პლენარული სხდომები ქუთაისში ტარდებოდა, მინისტრები ხშირად სიშორის გამო ვერ ცხადდებოდნენ პარლამენტში. დღეს საზოგადოების ნაწილი პარლამენტის ქუთაისის შენობის გაყიდვას აპროტესტებს.

– ყველას თავისი მოსაზრება აქვს. არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ პარლამენტის ქუთაისში მუშაობამ ამ ქალაქს რაიმე შემატა. ქუთაისი ამან ვერ განავითარა. ეს იყო სააკაშვილის ახირებული და ხარჯიანი გადაწყვეტილება. პარლამენტის თბილისში დაბრუნებას პირად საუბრებში ემხრობოდა ჩვენი ოპონენტების 99%. მათაც უჭირდათ იქ სიარული და დაბარებულ მინისტრებსაც.

ქუთაისის შენობის ასაშენებლად სააკაშვილმა დახარჯა 400 მილიონამდე ლარი. ხომ ჯობდა, რომ ეს სოლიდური თანხა გონივრულად გამოეყენებინა?! ამ შენობის შენახვასაც ფული სჭირდება. რა არის იმაში ცუდი, თუ ის გაიყიდება? აბა, პრივატიზაცია სხვა რა არის? ინვესტორი მას ახალ ფუნქციას შესძენს.

ამ თემაზეც ისეთივე ხელოვნური აჟიოტაჟია ატეხილი, როგორც ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრებზე. ბოლო წლის განმავლობაში ფინანსთა მინისტრი ექვსჯერ თუ შვიდჯერ იყო პარლამენტში მოსული. ესეც გავიხსენოთ. ამ

ხელისუფლებას თავისი შეცდომები ეყოფა. მისი დადანაშაულება სააკაშვილის ქმედებებში ღიმილის მომგვრელია. სააკაშვილმა დაუშვა შეცდომა, რომ 400 მილიონი მიახარჯა უსარგებლო ნაგებობას და პარლამენტი იქ გადაიტანა. ხელისუფლება თუ ამ შენობას ყიდის, ის სწორად იქცევა.

– სააკაშვილისგან მალე განსაკუთრებულ აქტივობას უნდა ველოდოთ? მარტიდან მისი შტაბი იხსნება.

– სააკაშვილი შორიდან ისედაც აქტიური იყო. პროპორციული არჩევნები რომ არ უნდოდა, ეს ვერ დამალა. მისი და „ქართული ოცნების“ სურვილები ერთმანეთს დაემთხვა. სააკაშვილი დესტაბილიზაციისთვის იბრძვის. ადრე ვანო მერაბიშვილმა სააკაშვილის დავალებით ბრძანა ორი გვამის მოტანა. სააკაშვილს მაშინ ორი გვამი სჭირდებოდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ორი გვამი დღესაც აქტუალურია.

– დააზუსტეთ.

– სააკაშვილს ორი გვამი დღესაც სჭირდება. ამჯერად – ძალაუფლების დასაბრუნებლად. მაშინ ეს ესაჭიროებოდა ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, ახლა კი – დაბრუნებისთვის.

– ამაში ფიგურალურად დესტაბილიზაციას გულისხმობთ? ვანო მერაბიშვილი ისევ მასთან არის? გარეგნულად, სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის დიდი თანხმობა არ უნდა იყოს.

– არა მგონია, ისინი დაპირისპირებულები იყვნენ. ხელისუფლებაში ნაცმოძრაობის მოსვლის შემთხვევაში ლიდერი ისევ სააკაშვილი იქნება და მის გვერდით ვიხილავთ მერაბიშვილსაც. აბა, სხვა როგორ წარმოგიდგენიათ?!

– ყველა იმისთვის იბრძვის, რომ ძალაუფლება აღარ ჩაუვარდეს ხელში რომელიმე ერთ პარტიას.

– თუნდაც ოპოზიციური ერთობა მოვიდეს ხელისუფლებაში. ნათელაშვილი და დავითაია გახდებიან სააკაშვილის ოპოზიცია? ეგენიც სააკაშვილის ქოლგის ქვეშ იქნებიან, მერაბიშვილიც და სხვადასხვა პარტიაში გადანაწილებული ნაციონალებიც. ეს ნაციონალები ხომ სინამდვილეში არ დაშლილან! ისინი გადანაწილდნენ.

სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ არჩევნებზე უარით კარი გაუღო ნაცმოძრაობის დაბრუნებას. „ქართული ოცნება“ ამყარებს ორპოლუსიანობას. არადა, მოსახლეობის შეკვეთა ორპოლუსიანობა არ არის. პროპორციული სისტემა ამას ბოლოს მოუღებდა.

– მალხაზ მაჩალიკაშვილის სააკაშვილთან ჩასვლაზე რისი თქმა შეიძლება?

– დეტალები არ ვიცი. აძლევს თუ არა ვინმეს დავალებებს სააკაშვილი, ეს წვრილმანია. ფაქტია, რომ მას საქართველოში დესტაბილიზაცია ისევ უნდა. მალხაზ მაჩალიკაშვილზე კი იმის თქმა შემიძლია, რომ მან თავისი შვილის საქმეზე ყოველთვის ბევრი იცოდა. პარლამენტში დახურულ სხდომაზე ჩვენ ამაზე ინფორმაცია მივიღეთ. სამწუხაროა, რომ სააკაშვილსა და მერაბიშვილს ფანებიც ჰყავთ.

– მათი ფანების რაოდენობა გაზვიადებული არ არის?

– სიტუაციის ასარევად დასაწყისისთვის 20 კაციც საკმარისია. სააკაშვილის ბანაკში სხვებიც მოიაზრებიან. ხელისუფლების ვალია, ხელი შეუშალოს დესტაბილიზაციას ქვეყანაში.

გიორგი ვაშაძე: „დასახელებული მაჟორიტარობის კანდიდატების სია ზუსტი არ არის“

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს

ნონა ცაბაძე

– ბატონო გიორგი, გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა კვლავ აღდგეს მოლაპარაკების მაგიდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. რამდენად ხედავთ ამის შანსებს?

– მე ვერ ვხედავ დიდ რესურს მოლაპარაკებაში ამ ეტაპზე. იმიტომ, რომ არაადეკვატურია ის პოზიცია, რაც „ქართულ ოცნებას“ უჭირავს, რომელსაც სახელმწიფო მიჰყავს იზოლაციაში. საერთოდ ვერ ვხედავ იმ ფორმატის მოლაპარაკებების შანსებს, რომელიც არსებობდა. თუ ამის რეალური სურვილი ექნება „ქართულ ოცნებას“, მან ხელი უნდა აიღოს პოლიტიკური დევნისგან და ადეკვატური შემოთავაზება უნდა გააკეთოს პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებით.

– ჯერჯერობით ძალაში რჩება შემოთავაზება 100/50-ზე. იმასაც აცხადებენ, რომ თებერვლის ბოლოს იხურება მოლაპარაკების ფანჯარაო.

– ეს გამორიცხულია. ჩვენ ამაზე არ დავთანხმდებით. ფანჯარა იხურება მათთვის. ჩვენ ვიცით ჩვენი სტრატეგია იმ პირობებშიც, რა პირობებშიც ახლა არის საარჩევნო სისტემა. ამ სისტემით, მაინც შევძლებთ და დავამარცხებთ „ქართულ ოცნებას“. ყველა კვლევა ამას მიუთითებს და ჩვენი შინაარსობრივი მზადებაც.

– დასახელდა ხუთი მაჟორიტარი კანდიდატი თბილისის ოლქებში, მათ შორის თქვენც. ეს საბოლოოდ შეთანხმებული სიაა?

– არა, რა თქმა უნდა. ეს ინფორმაცია ძალიან ზედაპირული იყო. ჯერჯერობით ეს მსჯელობის საგანია. ასე გადაჭრით თქმა და სახელების და გვარების დასახელება არასწორია. სამწუხაროდ, ეს ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ თვითონ გააკეთა. მე ნებისმიერ რაიონში შემიძლია დავდგე მაჟორიტარად, საქართველოს ნებისმიერ რაიონში. ეს ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან მოვიგებ. ამიტომ, როგორც საჭირო იქნება საერთო საქმისთვის, იმის მიხედვით გადავწყვეტთ.

– მთავარია, როგორ შეთანხმდება ოპოზიცია. რამდენად ერთსულოვანია ოპოზიცია და ხომ არ არის საფრთხე, ეს ერთობა დაირღვეს?

– ძირითადი ნაწილი ერთსულოვნები ვართ. ვფიქრობ, რომ ყველა ერთსულოვანი იქნება. სხვა რა გზა არის?! გაერთიანების გარდა, სხვა გზა, ეს არის მარცხის გზა და ამიტომ ძალიან კარგი ფორმატი მოვიფიქრეთ გაერთიანების. პროპორციული ნაწილი ცალ-ცალკე იქნება და მაჟორიტარული კუთხით შეეცდება ყველა თანამშრომლობას ერთმანეთთან.

– კვლევებიც ასე აჩვენებს, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას ერთად აქვს 55%. ამიტომ თქვენს ინტერესშიც უნდა შედიოდეს, რომ არ დაიშალოთ.

– დიახ, რა თქმა უნდა. მე მგონი ამას, ყველა ადეკვატურად უნდა ხედავდეს და პირადი ამბიციები გვერდზე უნდა გადადოს.

– ინდივიდუალურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ხელისუფლება პარალელურ რეჟიმში ოპოზიციურ პარტიებთან და რამდენიმე პარტია იყო ამ შეხვედრაზე. ოპოზიციის გათიშვის მცდელობას აქვს ადგილი?

– ეს არის იაფფასიანი მცდელობები ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ეს ჩვენს მომავალს და ჩვენს გეგმებს ვერ აზიანებს ვერც ერთ შემთხვევაში. ვიღაც შეიძლება მივიდეს ამ ინდივიდუალურ შეხვედრაზე, ვიღაც – არა. საერთო ჯამში, ჩვენ მაინც ერთიანი სტრატეგია გვაქვს. ამ ყველაფერზე კი უფრო დეტალურად 4 აპრილს დაგეგმილ აქციაზე ვისაუბრებთ.

დრო იწურება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ივანიშვილი?!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლი ოცნების“ წარმომადგენლებთან, არ ყოფილა. შეხვედრა ჰქონდა „გირჩს“ და კახა კუკავას პარტიას და ამაზე მათ საჯაროდ ისაუბრეს და განაცხადეს იმ შეთავაზებაზეც, რომელიც მიიღეს „ქართული ოცნებისგან“.

– რა იყო ეს შეთავაზება?

– ეს იყო 100/50-ზე, რომელიც ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია, შემდგომ – 100/40-ზე, რომელიც ასევე პრინციპულად მიუღებელია. როდესაც ვამბობ ჩვენთვის, მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას, აქ იგულისხმება ის ოპოზიციური მაგიდა, რომლის ნაწილიც ჩვენ ვართ უკვე მრავალი კვირაა და რომელშიც, ბუნებრივია, ბზარის შეტანას ივანიშვილი ცდილობს და ეცდება, თუმცა მე ნამდვილად იმედი მაქვს, რომ ჩვენ ისეთივე პრინციპულები დავრჩებით ამ მაგიდის ირგვლივ, როგორც ვიყავით აქამდე. იმიტომ, რომ არა მხოლოდ მორალური ვალდებულებებიდან გამომდინარე, არამედ პრაგმატულად და პოლიტიკურად, კარგად ესმის, რომ ამ ერთობის პირობებში, ივანიშვილის დამარცხება არის გარდაუვალი!

– კვლევების თანახმადაც, გაერთიანებულ ოპოზიციას საკმაოდ მაღალი პროცენტი აქვს...

– დიახ, ასეა და ყველას ინტერესში უნდა შედიოდეს ეს ერთიანობა.

– რას იტყვით იმ მაჟორიტარი კანდიდატების ხუთეულზე, რომელიც ერთ-ერთი ტელეკომპანიის მეშვეობით გავრცელდა. ეს შიდა დაძაბულობის თემაც გახდაო.

– ჩემი აზრით, ნაადრევია ამაზე საუბარი, რადგან ყველა პარტიაში მიმდინარეობს მსჯელობა, ასევე პარტიებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კანდიდატი იქნება ოპოზიციისთვის ყველაზე სასარგებლო და რომელი კანდიდატი მოიგებს არჩევნებს პირველივე ტურში. ამიტომ კონკრეტულ სახელებზე საუბარი და კონკრეტულ ოლქებთან მათი კანდიდატებად წარმოჩენა, გაუმართლებელია ამ ეტაპზე, რადგან მოლაპარაკებები დასრულებული არ არის. წინსწრებად ნებისმიერი მოლაპარაკების შედეგზე საუბარი, როცა მიღწეული არ არის შეთანხმება, ჩემი აზრით, შესაძლებელია იყოს კონტრპროდუქტიული!

– პროცესს დააზიანებს?

– ჩემი აზრით, მაშინ როდესაც არ არის შეთანხმებული მოლაპარაკების კონკრეტული შედეგი, შინაარსის წარმოჩენა ისე, რომ თითქოს და ეს შეთანხმება უკვე მიღწეულია, შესაძლოა, რომ მხარეებზე კონტრპროდუქტიულად იმოქმედოს. ამიტომ მოთმინებით მივუდგეთ ამ საკითხს, თუმცა, ბუნებრივია, ისიც მნიშვნელოვანია, რომ დროულად მოხდეს ეს შეთანხმება და უნდა მოხდეს კიდეც. თუ „ქართული ოცნება“ რაიმე დათმობას აპირებს, ეს ძალიან მალე უნდა განხორციელდეს, იმ კონსტიტუციური ვადებიდან გამომდინარე, რომელიც არსებობს.

– ხელისუფლებამ თებერვლის ბოლო დაასახელა. მოლაპარაკების ფანჯარა დაიხურება თებერვლის ბოლოსო. ალბათ მალე უნდა გაცხადდეს, რას აპირებს ხელისუფლება?

– დღეს უკვე 27 თებერვალია. ორი დღე დარჩა ამ თვეში. ტექნიკურად შესაძლებელია ცვლილებების ინიცირება მარტის პირველ კვირაშიც, თუმცა მარტის კვირის ბოლოს, უკვე ნამდვილად იხურება შესაძლებლობის ფანჯარა. ამიტომ, თუ რაიმე გადაწყვეტილების მიღება სურს ივანიშვილს, ეს უნდა გააკეთოს დროულად და შემდგომ დაავალოს თავის საპარლამენტო გუნდს, რომ ეს ცვლილებები გამოიტანონ პარლამენტში.

– მიზანმიმართულად ხომ არ ხდება პროცესის გაჭიანურება, რომ მერე ისევ ოპოზიციას დაბრალდეს ყველაფერი?

– არ გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ გადაბრალების და მუდმივად დამნაშავის ძებნისას ყოველთვის ჩემი პოლიტიკური ძალაა ხოლმე ადრესატი. რაზეც არ უნდა იყოს ეს, ლარის გაუფასურების თემით დაწყებული, აბსოლუტურად ყველა სხვა საკითხით დამთავრებული, ისინი ეძებენ მუდმივად დამნაშავეს და გადაბრალების პოლიტიკით საზრდოობენ.

საზოგადოება და დასავლელი პარტნიორებიც ძალიან კარგად ხედავენ, რომ ამ შემთხვევაში ბურთი არის ხელისუფლების მოედანზე და მათ გააჩნიათ ყველა ბერკეტი იმისათვის, რომ აღნიშნული კრიზისიდან გამოვიდეთ, თუ ამის პოლიტიკური ნება არსებობს. ამისთვის, ივანიშვილმა უბრალოდ უნდა გაითავისოს, რომ ძალიან მაღალი ფასის გადახდა მოუწევს მას პირადად, თუ გადაწყვიტა, რომ არ შედგეს კონსენსუსი და არ გამოვიდეს ქვეყანა ამ კრიზისიდან, რომელიც პირადად მან შექმნა.

– და რა იქნება ეს მაღალი ფასი?

– ეს მაღალი ფასი იქნება, პირველ რიგში, პერსონალურად მისი მარგინალიზაცია და შესაძლო საერთაშორისო იზოლაცია. ასევე არ გამოვრიცხავ პერსონალურ სანქციებს, რომელზეც უკვე ღიად საუბრობენ გარკვეული დასავლელი პარტნიორები. ასეთი ბევრი მაგალითი გვინახავს, ამის უამრავი პრეცედენტი არსებობს და, როგორც წესი, ასე ასრულებენ ოლიგარქები. თუმცა მას ჯერ კიდევ აქვს შანსი, რომ შემოაბრუნოს სიტუაცია იმ თვალსაზრისით, რომ მისცეს საქართველოს რიგით მოქალაქეებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

– რა იგეგმება 4 აპრილის აქციაზე?

– განსხვავებით გუშინდელი დღისგან, რა დროსაც გარკვეულმა ინფორმაციამ იტრიალა ამა თუ იმ კანდიდატზე, რომელიც საბოლოოდ არ შეთანხმებულა. 4 აპრილს უკვე ნამდვილად შეთანხმებულ კანდიდატებს წარმოვუდგენთ და ასევე წარმოვადგენთ ჩვენს კონკრეტულ გეგმას იმისას, თუ როგორ უნდა დავასრულოთ ივანიშვილი. ოპოზიციის ერთობის შენარჩუნების პირობებში, ივანიშვილის დამარცხება, რა სისტემითაც არ უნდა ჩატარდეს არჩევნები, არის გარდაუვალი!

– თუ გაქვთ ინფორმაცია, რა გეგმები აქვს ვანო მერაბიშვილს და 4 აპრილს რომელი პარტიის გვერდით ვიხილავთ მას?

– ვერ გეტყვით. ეს არ არის ჩემთვის ცნობილი. მე მესმის ჟურნალისტების ინტერესი მის გეგმებზე, თუმცა ჩვენი ვალია, დავაცადოთ ადამიანს, რომელმაც 6 წელი და 9 თვე არაადამიანურ და პრაქტიკულად წამების პირობებში გაატარა სამარტოო საკანში. საერთაშორისო სტანდარტებით, გარკვეული დროის შემდეგ, სამარტოო საკანი სწორედ არაადამიანურ მოპყრობად ითვლება. ამ ადამიანმა თავად უნდა განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური გეგმები და შემდგომ მოგვეცემა ჩვენ საშუალება, რომ ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ.



პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

„სალომე ზურაბიშვილი გიგი უგულავას შეიწყალებს?!“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია თბილისში მაჟორიტარებად ლიდერებს დააყენებს“

ნათია ხურცილავა

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ მაჟორიტარების უმრავლესობა შეთანხმებულია, ნაწილი ამბობს, ჩვენთან არავის არაფერი შეუთანხმებიაო. ეს პოზიციები დისონანსს შეიტანს?

– რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, როდესაც შეუთანხმებელი ინფორმაცია ჟონავს საჯარო სივრცეში. ჯერ მთავარი საკითხი იმ მაგიდის ირგვლივ საარჩევნო სისტემაა და სანამ არ გაირკვევა, რომელი სისტემით გადიან მხარეები არჩევნებზე, მანამდე მაინც ჯობია, სხვა საკითხებისგან თავი შეიკავონ. არჩევნები რა სისტემით ჩატარდება, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც მაჟორიტარების შეთანხმება-არშეთანხმების საკითხში.

იდეა, რომ ოპოზიცია ერთიანი კანდიდატით გამოვიდეს მაჟორიტარულ ოლქებში, მისასალმებელი და კარგია, მაგრამ მისი განხორციელება მაინც საკმაოდ რთული იქნება. ამ იდეას აქვს სუსტი მხარეებიც, რომელთაც ხელისუფლება აუცილებლად გამოიყენებს.

რაც შეეხება გვარების დასახელებას, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენად გონივრულია ახლა ამის გაკეთება.

– 4 აპრილს აპირებენ.

– კი, აპირებენ, მაგრამ რა სიკეთეს მოუტანს ოპოზიციას კარტების ბოლომდე გახსნა და პირდაპირ გვარების დასახელება?!

– ხელისუფლებას გაუადვილდება საკუთარი კანდიდატის დასახელება?

– რა თქმა უნდა! კარტების ბოლომდე გახსნა არ მგონია, გონივრული იყოს. ხელისუფლებას რომ გაცილებით მეტი მექანიზმი აქვს, ვიდრე ოპოზიციას, არც ეს არის საიდუმლო და ამიტომ გასაკვირია მისი ასეთი დამოკიდებულება.

კიდევ ერთი საკითხი: ოპოზიცია საერთო კანდიდატს გარკვეული პირობებით უჭერს მხარს თუ თავისუფალი მანდატის მატარებელია ეს კანდიდატი?!

– მხოლოდ ლიდერები იყრიან კენჭს მაჟორიტარებად თუ შეიძლება პოეტები, მსახიობები დააყენონ?

– მე მაინც მგონია, რომ ლიდერები იქნებიან. მათ საზოგადოება იცნობს. ცნობადობის პრობლემა არ აქვთ. ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, გაუგებარია, რატომ ასახელებენ ასე ადრე კანდიდატებს. თუ საზოგადოებისთვის უცნობ სახეებს დააყენებენ, მაშინ გასაგებია, მაგრამ მე არ მგონია, ოპოზიცია ამ მიმართულებით წავიდეს, თუმცა არაფერია გამორიცხული. ისე, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის რომელიმე კანდიდატს უარს თუ ეტყვიან რომელიმე პოეტის სასარგებლოდ, ეს პრობლემებს შექმნის არა მხოლოდ ოპოზიციის ერთიანობის მიმართულებით, არამედ თავად პარტიაში.

ოპოზიციის ლიდერები მაინც თბილისის მაჟორიტარულ ოლქებში გადანაწილდებიან. თბილისში სულ 20 მაჟორიტარული ოლქია და სრულადაც აითვისებენ, ვის დაუპირისპირებს მათ „ქართული ოცნება“, ეს უკვე სხვა საკითხია.

– „ქართული ოცნება“ პოპულარულ სახეებზე გააკეთებს აქცენტს?

– აი, „ოცნებას“ მართლაც მოუწევს პოპულარულ სახეებზე აქცენტის გაკეთება და ამის მაგალითები ჩვენ არაერთი ვნახეთ.

– თუნდაც მთაწმინდის ოლქში.

– დიახ!

– ბატონო ვახტანგ, არსებული მოდელით ჩატარდება არჩევნები?

– როგორც ჩანს, მართლაც ყველაფერი აქეთკენ მიდის. თუმცა, ოპოზიციას ორი მოთხოვნა აქვს დაყენებული: ერთი, პოლიტპატიმრების განთავისუფლება და მეორე, შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთის განხილვა. პოლიტპატიმრების განთავისუფლება გამორიცხულია, ამას ხელისუფლება არ დაუშვებს.

ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, დასავლეთი რა მოთხოვნას წაუყენებს ხელისუფლებას. თუ „ქართული ოცნება“ დასავლეთის ზეწოლას ვერ გაუძლებს, მაშინ შეიძლება დათმობაზე წავიდეს, თუ არადა, დატოვებს იმას, რაც არის.

– გამორიცხავთ, რომ სალომე ზურაბიშვილმა გიგი უგულავა შეიწყალოს?

– თუ შეიწყალებს, მაშინ ეს იქნება ხელისუფლების მითითება და სწორი მითითება იქნება. ზურაბიშვილი ამ გადაწყვეტილებას თვითონ რომ არ მიიღებს, გასაგებია, ეს ისეთივე ბლეფი იქნება, როგორც ხუნდაძის ამბოხი, რასაც საზოგადოება არ დაიჯერებს.

თუმცა, შეწყალება სწორი გადაწყვეტილება იქნება.

„რუსეთი ბჟანიას გასაკონტროლებლად ინალ არძინბას გაგზავნის“

მამუკა გვაძაბია: „ინალ არძინბა 29 წლისაა და მეტსახელად დობერმანს ეძახიან“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. გამარჯვებას ოპოზიციის ლიდერ ბჟანიას უწინასწარმეტყველებენ. თმობს თუ არა რუსეთი აფხაზური საზოგადოების წინაშე? ოკუპირებულ რეგიონში გაბირველკაცების შემთხვევაში, ბჟანიას აცლის თუ არა ამ რეგიონის მართვას? ვინ შეიძლება გამოაგზავნოს კრემლმა ბჟანიას საკონტროლებლად? „ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, რას იტყვით ასლან ბჟანიაზე?

– ბჟანიას შესახებ არაერთგვაროვანი აზრი არსებობს დე ფაქტო აფხაზეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. მას აფხაზეთში ბრალად სდებენ, რომ 1991-93 წლებში ის აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დროს, რომელიც რუსეთის ხელშეწყობით მიმდინარეობდა, არ მონაწილეობდა.

ამის შესახებ ბჟანიამ ვრცელი ინტერვიუც მისცა, სადაც ის ცდილობს, თავი იმართლოს, საუბრობს იმაზე, თუ სად იყო კონფლიქტის დროს. ეს ჩემთვის განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ისეთმა ფიგურამ, რომელიც რადიკალური დაპირისპირების შუაგულში არ იყო და დღეს პრეზიდენტობის კანდიდატად გვევლინება, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ძალიან დიდი ეჭვი გააჩინა.

– ამ მხრივ რუსეთის რეაქცია იქნება საინტერესო.

– რუსეთი პირდაპირ არ ცდილობს ამ კანდიდატის დამარხვას, მაგრამ ირიბად ცდილობს, თადარიგი დაიჭიროს.

– რას გულისხმობთ?

– თუ ბჟანია პრეზიდენტი გახდა, მას მეთვალყურედ მიუჩინოს ნამესტნიკი მოსკოვიდან.

– ვინ?

– 29 წლის ინალ არძინბა. რომელიც არის ვლადისლავ არძინბას ძალიან ახლო ნათესავი. ის, ფაქტობრივად, გაზრდილია მოსკოვში, რუსეთის სპეცსამსახურების წიაღში. დაიბადა 1990 წელს, ახალგაზრდა კაცია და ჯერ არ შეუძლია პრეზიდენტობაზე კანდიდატურის წამოყენება,

– ინალ არძინბას მოსკოვიდან ჩამოყვანა ბჟანიას სურვილი იყო, თუ შესთავაზეს.

– ვეჭვობ, ეს ბჟანიას ინიციატივა იყოს. მას მიუთითეს, შენ იყავი, მაგრამ შემდგომში ინალ არძინბა იქნება შენი თანაშემწე და ის კურირებას გაუწევს რეფორმებს აფხაზეთში.

– ინალ არძინბა, აფხაზეთში უკვე ჩამოვიდა?

– არა, ის ჯერჯერობით მოსკოვშია. ის რუსეთის საპატრიარქოს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელია. თავის დროზე ის რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე სურკოვის მარჯვენა ხელი იყო და მუშაობდა პრეზიდენტის თანაშემწის თანაშემწედ. სურკოვი პრეზიდენტმა გაათავისუფლა, მაგრამ იმ თანამდებობიდან გათავისუფლება დაქვეითებას არ ნიშნავს. სურკოვი ნახევრად ჩეჩენია. დედა ჰყავს ჩეჩენი.

იმპერიის ცენტრში იმპერიის განაპირა ტერიტორიებიდან მოსულ პიროვნებებს ახალისებენ. ასეთი პიროვნებაა ინალ არძინბა. მას მეტსახელად დობერმანი დაარქვეს. დობერმანი მებრძოლი ძაღლის ჯიშია.

2015 წელს ინალ არძინბას წინააღმდეგ უკრაინის ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა უკრაინის ტერიტორიაზე ტერორისტული საქმიანობის გამო.

ინალ არძინბას ბრალი დაუსწრებლად წარედგინა ისეთ მძიმე დანაშაულებში, როგორიცაა სახელმწიფო საზღვრის ძალადობრივად შეცვლის მცდელობა და საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. როდესაც მის დასაპატიმრებლად საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა, ინალ არძინბა პრეზიდენტის თანაშემწე იყო.

ასეთ პიროვნებას დღეს მოსკოვი აგზავნის აფხაზეთში და, ფაქტობრივად, მომავალი რეალური საპრეზიდენტო კანდიდატის მარჯვენა ხელი იქნება.

ინალ არძინბა არ არის ისეთი ფიგურა, რომ ამდენად ღირდეს, მაგრამ აქ იკვეთება რუსეთისა და კრემლის უნდობლობა აფხაზეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიმართ.

– როგორც ჩანს, რუსეთი ვერ ეგუება ბჟანიას გაპრეზიდენტებას?

– დიახ. როგორც ჩანს, ბჟანიას ხელს არ შეუშლიან, მაგრამ არ ენდობიან. ბჟანიას აბსუური წარმომავლობა არ აქვს. სუფთა ქართული წარმომავლობის გვარია. ასეთი ბევრია აფხაზეთში. ასეთივე უნდობლობით ექცეოდნენ ანქვაბსაც. მისი წინაპრები მექვაბიშვილები არიან. მას ამას ახსენებდნენ.

– ბჟანიამ განაცხადა, ქართველებს უნდა მოველაპარაკოთო. ალბათ, ამიტომაც არის უნდობლობა მის მიმართ.

– მარტო ბჟანია არ აცხადებს ამას, შამბამაც კი განაცხადა. რა კონტექსტით, ვინ გააკეთებინა და რატომ გააკეთა განცხადება, სხვა თემაა, მაგრამ აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი ხედავს იმ რეალობას, რომ აფხაზებს წასასვლელი არსად აქვთ.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებები უფრო ადეკვატური რომ იყვნენ, ჩვენ შეიძლება უფრო წინ წავწეულიყავით ამ საკითხების განხორციელებაში, მაგრამ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ უნდა იმის თქმა, თუ რატომ მოხდა ომი აფხაზეთში, ვინ დაიწყო, რა იყო ამის წინაპირობები და ა.შ. მიუხედავად ამისა, მათ წასასვლელი არსად აქვთ.

– ეს რას ნიშნავს?

– ხვდებიან, რომ აფხაზური ეთნოსის, აფსუური ეთნოსის ნომერ პირველი ჩამყლაპავი სომხური დიასპორაა.

აფხაზეთში არსებული სომხური დიასპორა უკიდურესად ანტიქართულად არის განწყობილი. ამის გასანეიტრალებლად აფხაზური ეთნოსი, აფხაზური ისტებლიშმენტი რაღაც გზებს ეძებს, მაგრამ უშედეგოდ.

– თუ ცდილობენ, ვითარებას რატომ ვერ ცვლიან?

– სომხური დიასპორის უმეტესობა რუსული სპეცსამსახურების მიერ კონტროლდება. აფხაზები რაღაცის კეთებას ცდილობენ, მაგრამ ერთი განცხადება გააკეთა ბაღაფშმა და მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში მოკლეს. ანქვაბმა პატარა დაუმორჩილებლობა გამოიჩინა და აჯანყება მოუწყვეს.

– ანუ ჩვენ როგორ უნდა ვიმოქმედოთ?

– ქართულმა სახელმწიფომ აფხაზურ საზოგადოებასთან, დე ფაქტო აფხაზეთთან ურთიერთობაში უნდა გამოიყენოს ოფიციალური და არაოფიციალური არხები.

ქართულმა სახელმწიფომ ისეთი ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ აფხაზური მოსახლეობის დიდ ნაწილში პროქართველური განწყობა მომგებიანი გახდეს. რაღაც კონცეფცია მეც მაქვს შემუშავებული. რაც შეიძლება ნაკლებად გავაღიზიანოთ და რაც შეიძლება მეტი მომხრე გავიჩინოთ აფხაზურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში.

იმ მომხრეებში პროქართული პოზიციის დაფიქსირება აფხაზური საზოგადოებისა და მოსახლეობის წინაშე გამაღიზიანებელი არ უნდა იყოს.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სერგი კაპანაძე: „თუ პოლიტპატიმრებს გაათავისუფლებენ, ჩვენც დავუბრუნდებით დიალოგს“

თუ ხელისუფლება ათავისუფლებს პოლიტიკურ პატიმრებს და უბრუნდება პროპორციულზე დიალოგს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენც ვუბრუნდებით პროპორციულზე დიალოგს.

– ამის მზაობა ხელისუფლების მხრიდან არ ჩანს.

– დიახ, არ ჩანს. რადგან არ ჩანს ამის მზაობა, ჩვენ ვემზადებით გეგმა ბე-სთვის, რომ დღევანდელი სისტემის პირობებში დავამარცხოთ ხელისუფლება. ეს არის შესაძლებელი მხოლოდ მაჟორიტარულ ოლქებში კოორდინირების შემთხვევაში. რატომ არის მარტო ასე შესაძლებელი? იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში, თუ ჩვენ კოორდინირებას შევძლებთ, ხელისუფლებას მათემატიკურად უბრალოდ გამარჯვება ვერ ექნება, თუ არ მოიგებს მაჟორიტარებს. მან 50%-ზე მეტი მხარდაჭერა უნდა მიიღოს და ფიზიკურად არა აქვს ეს მხარდაჭერა. ამიტომ თუ ვინმე თვლის, რომ ეს იყო ღალატი ჩვენს მთავარ მიდგომებზე, უბრალოდ, არასწორად ესმის საკითხი. ამ დროს პირიქით არის. ჩვენი მხრიდან, დალაგება მაჟორიტარულ ოლქებზე, არის გარკვეული ქიში ოპოზიციის მხრიდან. რადგან ჩვენ ვლაგდებით, ხელისუფლებას უკვე აღარ აწყობს არსებული სისტემაც. ამიტომ ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ თუ ივანიშვილი არ ცვლის თავის დამოკიდებულებას, მაშინ ოპოზიცია შეთანხმდეს ერთიან მაჟორიტარულ კანდიდატზე, ეს თავად საზოგადოების ინტერესშია!

– ეს წყრომა გამოიწვია იმან, რომ ჯერ ისევ მოლაპარაკებების პროცესია, არაფერია გადაწყვეტილი და უკვე მაჟორიტარობის კანდიდატებიც კი დასახელდა. გამოდის, რომ ოპოზიცია მზად არის ამ სისტემისთვის და აღარ იბრძვის პროპორციულისთვის. ასეა?

– არ დასახელებულა კანდიდატები. უბრალოდ გაჟონა ამ ინფორმაციამ ერთ-ერთ მედიაში. თუ საღი აზრით ვიფიქრებთ, ეს ადამიანები, ვისზეც საუბარი იყო, ისედაც გასაგებია, რომ მათი გვარები დასახელდება, რადგან პოლიტიკური ლიდერები არიან. მთავარი სახეები არიან და არ დასახელდებიან მაჟორიტარებად?! მთავარ სახეებს რომ არ დავასახელებთ, ეს მოლოდინი აქვს ვინმეს?! ამიტომ არაფერი ახალი მაგაში არ იყო.

– აბა რა მოხდა?

– უბრალოდ, არასწორად იქნა აღქმული, რომ ვიღაცებთან შეთანხმების გარეშე ხომ არ მოხდა ეს. მე გეტყვით, რომ ჯერ არაფერია შეთანხმებული. არც ეს კანდიდატები. ამაზე საუბარი მიმდინარეობს უბრალოდ და შეთანხმება მანამდე არ იქნება, სანამ ყველა დეტალზე არ შევთანხმდებით.

– ხელისუფლებაც ალაპარაკდა ამაზე, რომ ოპოზიცია შიგნით ვერ თანხმდება და რა გასაკვირია, ჩვენთან რომ ვერ შეთანხმდნენო.

– სწორედ ეგ არის, რომ ეს ხელისუფლების პროპაგანდაა, მათი მიზანია აჩვენოს, რომ ოპოზიცია არის სუსტი. დღეს სხვა რეალობაა. ოპოზიცია არ არის სუსტი, პირიქით, არის ძალიან ძლიერი და კიდევ უფრო ძლიერი იქნება თუ შევთანხმდებით მაჟორიტარულ ოლქებზე. ეს პროცესი მიდის, ჩვენ ეს დავაანონსეთ დიდი ხანია და გრძელდება დიდი ხანია, არაფერი ახალი ამაში არ უნდა იყოს არავისთვის.

– რამდენად იმუშავეს დღეს ხელისუფლება იმაზე, რომ გათიშოს ოპოზიცია?

– რა თქმა უნდა, იმუშავებს. ეს ისედაც ვიცით, აქ რაიმე ახალი კი არ არის. მთელი მისი პროპაგანდული ორგანოები ამით არიან დაკავებული, რომ აჩვენონ, აი, ოპოზიცია არის გახლეჩილი. ეს ძალიან კარგად ვიცით ჩვენ და ამიტომ არ გვეშინია ამის, იმდენად მზად ვართ.

– ეს მოლოდინი გაქვთ ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ რამდენად შეძლებენ ამის განხორციელებას?

– მე არ მგონია, რომ შეძლონ და დაშალონ ოპოზიციური ერთობა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ერთობა არ დაიშლება. ივანიშვილი რომ პარტიების მოსყიდვას დაიწყებს ეს გასაგებია, მაგრამ მე არ მგონია, რომ ვინმე გაიყიდოს ივანიშვილის ფულზე.